ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 360

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 25 ოქტომბერი 2011 წელი

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პონტო"-მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით შემდეგში „მიმწოდებელი " ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე „შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ყიდულობს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოსათვის, ხოლო „მიმწოდებელი" ყიდის პირადი ჰიგიენის პროდუქტებს, ქსოვილის ნივთები, საწმენდი და სარეცხი საშუალებებსაშუალებებს (შემდეგში ,საქონელი")

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - პირადი ჰიგიენის პროდუქტები, ქსოვილის ნივთები, საწმენდი და სარეცხი საშუალებები.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.4 შესყიდვის კატეგორია - 33700000-პირადი ჰიგიენის პროდუქტები (იხილეთ დანართი №1)
39500000-ქსოვილის ნივთები (იხილეთ დანართი № 2).
39800000 -საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები (იხილეთ დანართი №3).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 180.40 (ასოთხმოც ლარი და 40 თეთრი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
-საქონლის მიწოდების დაწყება 2011 წლის 25 ოქტომბერი.
- საქონლის მიწოდების დამთავრება - 2011 წლის 31 ოქტომბერის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშ-ფაქტურა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საკრებულოს მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''	,,მიმწოდებელი''
თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული)	შპს ,,პონტო''-
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	დირექტორი
ივანე საღინაძე	ზურაბ ხორავა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№-12 სს ,,ლიბერთი ბანკი'' ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №10 სს ,,ვი თი ბანკი ჯორჯია''
ა/ა GE 94LB0120125805505000 ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215138143	ა/ა 9933602, ბ/კ UGEBGE22, ს/კ № 215082345

დანართი №1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

	შესყიდვის კატეგორია	საქონლის დასახელება	განზომილება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში
1	33711900	საპონი	ც	10	0,70	7,00
2	33711900	თხევადი საპონი	ც	1	20,00	20,00
3	33761000	ტუალეტის ქაღალდი	ც	5	0,60	3,00
4	33764000	ქაღალდის ხელსახოცი	ც	6	2,50	15,00
5	39713420	იატაკის საწმენდი სითხე		3	5,00	15,00
	ჯამი:					**60,00**

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „პონტო"
დირექტორი

ხურაბ ხორავა

დანართი №2

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

	შესყიდვის კატეგორია	საქონლის დასახელება	განზომილება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში
1	39525800	იატაკის ტილო	ც	5	3,00	15,00
2	39525800	მაგიდის ტილო	ც	3	2,50	7,50
3	39525800	მაგიდის ტილო	ც	4	1,00	4,00
4	39525800	მინის საწმენდი ტილო	ც	3	2,50	7,50
	ჯამი:					**34,00**

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „პონტო"
დირექტორი

ზურაბ ხორავა

დანართი №3

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

	შესყიდვის კატეგორია	საქონლის დასახელება	განზომილება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში
1	39812400	ავეჯის საწმენდი ,,pronto"	ც	5	5	25
2	39830000	ქლორი	ც	6	3	18
3	39832000	ქელე	ც	3	0,80	2,40
4	39832000	მჟავა	ც	4	2,00	8,00
5	39831000	სარეცხი ფხვნილი	ც	4	1,50	6,00
6	39831600	ტუალეტის სახეხი ,,იხვი"	ც	3	5,00	15,00
7	39812400	მინის საწმენდი სითხე	ც	4	3,00	12,00
	ჯამი:					**86,40**

„შემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „პონტო"
დირექტორი

ზურაბ ხორავა